ხელშეკრულება № 23

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 01.სექტემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, ,,ქალაქ ბათუმის ელექტროტრანსპორტის სამსახურის სს" (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორი ეთერი ელბაქიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ბიოლაბი (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ცოტნე ხატისაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბიოლოგიური თვალსაჩინოებების ნაკრების შეძენა და სკოლის ლაბორატორიისთვის მიწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ {CPV 243000000}.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულებისსაგნისღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 136 ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2 დღეში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მისამართზე ქ. ბათუმი, ოდელეთი თაბუკაძე. ,,ქალ. ბათუმის ავტობუსთა პარკი"

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწ ილის შე უსრულებლობის შემთ ხვევაში შემს ყიდველი უფ ლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მიმწოდებელი
შ.პ.ს "ბიოლაბი"

მისამართი: თბილისი, ჩაჩავას ქ. N8;

საიდენტიფიკაციო კოდი: 405 154 915;
საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორებისანგარიში
GE37TB7315836020100002

დირექტორი

შემსყიდველი

სოფ. ტაბაგრების მუნიციპალიტეტის სოფლის თვითმმართველობის სკოლა

მისამართი: ქ. ტაბაგრები, სოფ. ტაბაგრები

ტელეფონი: 595552318

საიდენტიფიკაციო კოდი: 215606583

დირექტორი ეთერ ბერიძე

მიღება-ჩაბარების აქტი №

_____ _____ 2016წელი

ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი ერთის მხრივ შემსყიდველი _____

დირექტორი _____, ხოლო მეორეს მხრივ შპს"GT Group". მხარეთა შორის _____ 2016 წელს გაფორმებული № ხელშეკრულების შესაბამისად, ამ აქტით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა გადასცა ხოლო შემსყიდველმა მიიღო შემდეგი სახის საქონელი:

	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	ბიოლოგიური თვალსაჩინოებების ნაკრები	1	136 ლარი	136 ლარი
				136 ლარი

მივიღე

ჩავაბარე

საგადასახადო დავალება №104
5 სექტემბერი 2016 წელი

გადამხდელის დასახელ.	სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლა
გადამხდელის ბანკი:	ანგარიში (დებეტი) GE40BG0000000119196600 — თანხა 136
საქ. ბანკი ჭიათურის ფილიალი	BAGAGE22 — თანხა სიტყვებით
	იესება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდის დროს
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	ასოცდათექვსმეტი ლარი
საიდენტ. კოდი	215606583 — ბიუჯეტის შემოსულობების სახ. კოდი
მიმღების დასახელება:	შოს "ბიოლაბი"
მიმღების ბანკი ბანკი:	ანგარიში (კრედიტი) GE37TB7315836020100002
თიბისი ბანკი	TBCEGE22
გადახდის დანიშნულება	ბიოლოგიური თვალსაჩინოებების ნაკრების ღირებულება — ბანკის აღნიშვნები
	ბანკის შეძოსვლის
დამატებითი ინფორმაცია	გატარებულია
ხელმოწერები:	ხელმძღვანელი ძთ. ბუღალტერი ბ.ა. — შტამპის ადგილი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლა
MUNICIPALITY VILLAGE TABAGREBI PUBLIC SCHOOL
215606583

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
54 BAGAGE22